

# სახაზინო სამსახურის

## ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ა

საქართველოს 2015 წლის იანვარ-მაისის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელების, ნაშთის ცვლილებისა და მთლიანი სალდოს შესახებ

### სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები

საქართველოს 2015 წლის იანვარ-მაისში სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობებმა შეადგინა სულ 3 781 287.0 ათასი ლარი; მათ შორის: სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები მიღებული იქნა 3 241 754.3 ათასი ლარის მოცულობით, არაფინანსური აქტივების კლებით მიღებულმა შემოსულობებმა შეადგინა 101 765.3 ათასი ლარი, ფინანსური აქტივების კლებით მიღებული იქნა 16 293.4 ათასი ლარი, ხოლო ვალდებულებების ზრდით 421 474.0 ათასი ლარი.

2015 წლის იანვარ-მაისში მიღებული სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებმა (3 241 754.3 ათასი ლარი) შეადგინა ექვსი თვის საპროგნოზო მოცულობის (3 691 179.2 ათასი ლარი) 87.8%;

– გადასახადების ექვსი თვის საპროგნოზო მოცულობამ შეადგინა 3 504 100.0 ათასი ლარი, ფაქტიურად მიღებული იქნა 3 036 124.8 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მოცულობის 86.6%;

მათ შორის:

„გადასახადებმა შემოსავალზე, მოგებაზე და კაპიტალის ღირებულების ნაზრდზე“ საპროგნოზო მოცულობამ შეადგინა 1 386 200.0 ათასი ლარი, მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 1 326 294.1 ათასი ლარი, რაც გეგმის 95.7%-ია; მათ შორის:

„საშემოსავლო გადასახადის“ ექვსი თვის საპროგნოზო მოცულობამ შეადგინა 898 500.0 ათასი ლარი, ფაქტიურად მიღებული იქნა 786 218.6 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მოცულობის 87.5%;

„მოგების გადასახადის“ სახით მიღებული შემოსულობების მოცულობამ (540 074.8 ათასი ლარი) შეადგინა ექვსი თვის საპროგნოზო მოცულობის (487 700.0 ათასი ლარი) 110.7%;

„სხვა გადასახადებმა შემოსავალზე, მოგებაზე და კაპიტალის ღირებულების ნაზრდზე“, რომელთა კლასიფიცირება შეუძლებელია შეადგინა 0.7 ათასი ლარი.

– ექვსი თვის საპროგნოზო მოცულობამ „გადასახადებზე საქონელსა და მომსახურებაზე“ შეადგინა 2 051 400.0 ათასი ლარი, მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 1 671 104.7 ათასი ლარი, რაც გეგმის 81.5%–ია; მათ შორის:

„დამატებული ღირებულების გადასახადის“ ექვსი თვის საპროგნოზო მოცულობამ შეადგინა 1 634 000.0 ათასი ლარი, ფაქტიურად მიღებული იქნა 1 368 531.7 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მოცულობის 83.8%;

„აქციზის“ სახით მიღებულმა შემოსავლებმა შეადგინა 302 573.1 ათასი ლარი, რაც გეგმის (417 400.0 ათასი ლარი) 72.5%–ია;

– ექვსი თვის საპროგნოზო მოცულობამ „გადასახადებზე საგარეო ვაჭრობასა და საგარეო ეკონომიკურ ოპერაციებზე“ (იმპორტის გადასახადი) შეადგინა 54 100.0 ათასი ლარი, მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 29 619.3 ათასი ლარი, რაც გეგმის 54.7%–ია;

– „სხვა გადასახადების“ ექვსი თვის საპროგნოზო მოცულობამ შეადგინა 12 400.0 ათასი ლარი, ფაქტიურად მიღებული იქნა 9 106.7 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მოცულობის 73.4%.

გრანტების ექვსი თვის საპროგნოზო მოცულობამ შეადგინა 90 484.2 ათასი ლარი, ფაქტიურად მიღებული იქნა 88 688.1 ათასი ლარი (რაც გეგმის 98.0%–ია); მათ შორის:

– ინვესტიციური კრედიტებისა და გრანტების ფარგლებში ჩარიცხული თანხების შესახებ ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო ვალის და საგარეო დაფინანსების დეპარტამენტის ინფორმაციით, სახაზინო სამსახურის ერთიანი ანგარიშის გაუვლელად მიღებული გრანტები – 33 514.7 ათასი ლარი;

– სახაზინო სამსახურის მომსახურებაზე მყოფი ინვესტიციური პროექტების გრანტები სულ 7 881.6 ათასი ლარი, რომლის ექვივალენტი უცხოური ვალუტა, ხაზინის სავალუტო ანგარიშზე დონორების მიერ პროექტების დასაფინანსებლად ჩარიცხული თანხიდან, დაკონვერტირდა და ხაზინის ერთიანი ანგარიშის მეშვეობით მიიმართა სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებში;

– ბიუჯეტის მხარდამჭერი გრანტი – 29 971.2 ათასი ლარი;

– „სამინისტროების და უწყებების მიერ მიღებული ფულადი გრანტების/მიზნობრივი დაფინანსების აღრიცხვის და ხარჯვის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 30 დეკემბრის №419 ბრძანების თანახმად, ბიუჯეტში ასახული საბიუჯეტო ორგანიზაციებზე დონორების მიერ გამოყოფილი მიზნობრივი დანიშნულების გრანტები 17 320.6 ათასი ლარი.

„სხვა შემოსავლების“ ექვსი თვის საპროგნოზო მოცულობამ შეადგინა 96 595.0 ათასი ლარი, ფაქტიურად მიღებული იქნა 116 941.3 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მოცულობის 121.1%. მ.შ. საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ მიზნობრივი დაფინანსების სახით მიღებული ნებაყოფლობითი ტრანსფერები, გრანტების

გარდა 6 253.5 ათასი ლარი, რომელიც ბიუჯეტში აისახა ზემოთ მითითებული ბრძანების შესაბამისად.

2015 წლის იანვარ-მაისში „არაფინანსური აქტივების კლებით“ მიღებული შემოსულობების მოცულობამ (101 765.3 ათასი ლარი) შეადგინა ექვსი თვის საპროგნოზო მოცულობის (26 000.0 ათასი ლარი) 391.4%;

„ფინანსური აქტივების კლებით“ მიღებული შემოსულობების მოცულობამ შეადგინა 16 293.4 ათასი ლარი, რაც ექვსი თვის საპროგნოზო მოცულობის (33 400.0 ათასი ლარი) 48.8%-ია. მათ შორის:

შემოსულობები სესხებიდან – 16 290.7 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მოცულობის (33 400.0 ათასი ლარი) 48.8%;

შემოსულობები სხვა დებიტორული დავალიანებებიდან – 2.7 ათასი ლარი.

„ვალდებულებების ზრდით“ მიღებული შემოსულობების მოცულობამ შეადგინა 421 474.0 ათასი ლარი (რაც გეგმის – 784 513.0 ათასი ლარის 53.7%-ია);

მათ შორის:

– საშინაო ვალდებულებების ზრდით (შემოსულობები ფასიანი ქაღალდებიდან, გარდა აქციებისა) ფაქტიურად მიღებული იქნა – 247 570.7 ათასი ლარი, რაც გეგმის (300 000.0 ათასი ლარი) 82.5%-ია;

– საგარეო ვალდებულებების ზრდით მიღებული იქნა – 173 903.4 ათასი ლარი, რაც გეგმის (484 513.0 ათასი ლარი) 35.9%-ია, მათ შორის:

– საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებისა და სხვა ქვეყნის მთავრობების მიერ საქართველოს მთავრობისათვის გამოყოფილი გრძელვადიანი საინვესტიციო შეღავათიანი კრედიტები – 149 166.8 ათასი ლარი (რაც გეგმის – 254 513.0 ათასი ლარის 58.6%-ია); მათ შორის:

– ინვესტიციური კრედიტებისა და გრანტების ფარგლებში ჩარიცხული თანხების შესახებ ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო ვალის და საგარეო დაფინანსების დეპარტამენტის ინფორმაციით, სახაზინო სამსახურის ერთიანი ანგარიშის გაუვლელად მიღებული კრედიტები სულ 68 128.3 ათასი ლარი;

– ბიუჯეტის მხარდამჭერი კრედიტი – 24 736.6 ათასი ლარი;

– სახაზინო სამსახურის მომსახურებაზე მყოფი ინვესტიციური პროექტების კრედიტები სულ 81 038.5 ათასი ლარი.

ინვესტიციური კრედიტებისა და გრანტების ფარგლებში ჩარიცხული თანხების შესახებ ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო ვალის და საგარეო დაფინანსების დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციიდან სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების შესრულების ანგარიშგებაში ასახვისას ამოითიშა კრედიტების და გრანტების თანხები 82 307.5 ათასი ლარის მოცულობით, რომელთა შესაბამისი ექვივალენტები უცხოურ ვალუტაში ჩაირიცხა ხაზინის სავალუტო ანგარიშზე და პროექტის განმახორციელებლების მიერ ხარჯების

გაწევის შესაბამისად, განხორციელდა კონვერტირება და ხაზინის ერთიან ანგარიშზე ჩარიცხვის გზით მიიმართა ბიუჯეტის შემოსულობებში.

„საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს სისტემაში შემავალი ბიუჯეტის მხარჯავი ერთეულების მიერ მიღებული საკონსულო მოსაკრებლის, დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში საკონსულო თანამდებობის პირის მიერ გაწეული მომსახურების საფასურისა და ბიუჯეტის სხვა შემოსულობების აღრიცხვისა და გამოყენების წესის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2010 წლის 15 ოქტომბრის №835 ბრძანებულების შესაბამისად, საკონსულო მოსაკრებლებისა და ბიუჯეტის სხვა შემოსულობების სახით, საგარეო საქმეთა სამინისტროს წერილობითი მომართვების საფუძველზე, 2015 წლის იანვარ-მაისში სახაზინო სამსახურის მიერ ხაზინის ერთიან ანგარიშზე გატარდა და სახელმწიფო ბიუჯეტის როგორც შემოსულობებში, ასევე გადასახდელებში ასახული იქნა, წარმომადგენლობებისა და საკონსულო დაწესებულებების მიერ მიღებული და ადგილზე გახარჯული თანხები, სულ 1 798.0 ათასი ლარი.

## სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთის ცვლილება

სახელმწიფო ხაზინის ანგარიშებზე 2015 წლის 1 იანვრისთვის რიცხულმა სახელმწიფო ბიუჯეტის დაზუსტებულმა ნაშთმა შეადგინა 434 415.2 ათასი ლარი; აქედან: თავისუფალი ნაშთი – 434 240.2 ათასი ლარი; ფულადი სახსრები საინვესტიციო გრანტებით პროექტების დასაფინანსებლად („დაცული ტერიტორიების განვითარება“) – 175.0 ათასი ლარი.

სახელმწიფო ხაზინის ანგარიშებზე 2015 წლის 1 ივნისისთვის რიცხულმა სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთმა შეადგინა 628 744.7 ათასი ლარი; აქედან: თავისუფალი ნაშთი – 628 173.4 ათასი ლარი; ფულადი სახსრები საინვესტიციო გრანტებით პროექტების დასაფინანსებლად („დაცული ტერიტორიების განვითარება“) – 571.3 ათასი ლარი.

„საქართველოს 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-მუხლის, მე-8 პუნქტის და საქართველოს მთავრობის 2014 წლის 7 თებერვლის №176-ე განკარგულების თანახმად – 172 835.1 ათასი ლარი და „საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 20-მუხლის, მე-7 პუნქტის და საქართველოს მთავრობის 2015 წლის 15 იანვრის №29-ე განკარგულების თანახმად – 99 996.0 ათასი ლარი (სულ 272 831.1 ათასი ლარი), სახაზინო ობლიგაციების გამოშვებით მიღებული სახსრებიდან განთავსებულია კომერციულ ბანკებში ვადიანი დეპოზიტის სახით.

საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთის ცვლილებამ (დაგროვება) შეადგინა 194 329.5 ათასი ლარი.

## სახელმწიფო ბიუჯეტის მთლიანი სალდო

2015 წლის იანვარ-მაისში სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები მიღებული იქნა 3 241 754.3 ათასი ლარის მოცულობით (ექვსი თვის გეგმა 3 691 179.2 ათასი ლარი); ხარჯებმა შეადგინა 3 077 953.0 ათასი ლარი (ექვსი თვის გეგმა 3 850 016.1 ათასი ლარი); საოპერაციო სალდომ შეადგინა 163 801.2 ათასი ლარი (ექვსი თვის გეგმა -158 836.9 ათასი ლარი); არაფინანსური აქტივების ცვლილების შესრულებამ შეადგინა 90 638.7 ათასი ლარი: მათ შორის: შესრულებამ არაფინანსური აქტივების კლების მუხლით შეადგინა 101 765.3 ათასი ლარი; არაფინანსური აქტივების ზრდით შესრულებამ 192 403.9 ათასი ლარი.

2015 წლის იანვარ-მაისში სახელმწიფო ბიუჯეტის მთლიანმა სალდომ შეადგინა 73 162.6 ათასი ლარი (ექვსი თვის გეგმა -451 095.4 ათასი ლარი).

## სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები

„საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის და ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლების, არაფინანსური აქტივების კლებისა და ფინანსური აქტივების კლების კვარტალური განწერის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის №430 ბრძანებით დამტკიცებული განწერით, 2015 წლის ექვსი თვის გეგმით გასაწევი სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები განისაზღვრა 4 572 679.8 ათასი ლარით (მათ შორის საბიუჯეტო სახსრები – 4 277 682.6 ათასი ლარი, კრედიტები და გრანტები 294 997.2 ათასი ლარი); საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის №424 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო ხაზინის მომსახურებაზე მყოფი ორგანიზაციების მიერ გადახდების განხორციელების წესის შესახებ“ ინსტრუქციის შესაბამისად, ვალდებულებები რეგისტრირებული იყო 3 988 963.5 ათას ლარზე, მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 3 586 957.5 ათასი ლარი, (მათ შორის საბიუჯეტო სახსრებით გაწეული საკასო ხარჯების მოცულობა – 3 368 130.7 ათასი ლარი, ხოლო კრედიტებიდან და გრანტებიდან გაწეული საკასო ხარჯების მოცულობა – 218 826.7 ათასი ლარი), რაც ვალდებულების 89.9%, ხოლო გეგმის 78.4%-ს შეადგენს. საბიუჯეტო სახსრებით გაწეული საკასო ხარჯების მოცულობამ 2015 წლის იანვარ-მაისის მთლიან ხარჯებში შეადგინა 93.9%, ხოლო კრედიტებიდან და გრანტებიდან გაწეული ხარჯების მოცულობამ კი მთლიანი ხარჯების 6.1%.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2010 წლის 20 სექტემბრის №738 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციებისათვის ფულის გაცემის ყოველთვიური ოპერატიული ფინანსური გეგმის შედგენის, დამტკიცებისა და ფულის გაცემის წესის დამტკიცების თაობაზე“ ინსტრუქციის საფუძველზე,

ხაზინის მომსახურებაზე მყოფი ორგანიზაციების მიერ, ბიუჯეტით განსაზღვრული ასიგნებების ფარგლებში, თანხების ხარჯვა იანვარ-მაისში ხორციელდებოდა საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დამტკიცებული ფულის გაცემის ოპერატიული ფინანსური გეგმის მიხედვით.

„საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, იანვარ-მაისში სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელებზე ინფორმაცია ორგანიზაციულ ჭრილში დანართის სახით თან ერთვის, ხოლო გაწეული საკასო ხარჯების სტრუქტურა საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით შემდეგია:

ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით: „შრომის ანაზღაურების“ მუხლით ხარჯების დასაფინანსებლად 2015 წლის ექვსი თვის გეგმით გათვალისწინებულია 700 235.5 ათასი ლარი. ამ მიზნით რეგისტრირებული იქნა ვალდებულებები (წარმოდგენილია განაცხადი) 640 110.6 ათას ლარზე, მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 557 261.5 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 87.1%-ს და საგეგმო მაჩვენებლის 79.6%-ს შეადგენს.

„საქონელი და მომსახურების“ მუხლით 2015 წლის ექვსი თვის გეგმით განსაზღვრულია 465 796.8 ათასი ლარის გამოყოფა. აღნიშნული მუხლიდან აღებულმა ვალდებულებებმა შეადგინა 376 793.7 ათასი ლარი, მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 332 868.3 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 88.3%-ს და საგეგმო მაჩვენებლის 71.5%-ს შეადგენს.

„პროცენტის“ დაფარვის მუხლით 2015 წლის ექვსი თვის გეგმით გათვალისწინებულია 162 473.8 ათასი ლარის გამოყოფა. აღნიშნული მუხლიდან აღებულმა ვალდებულებებმა შეადგინა 143 604.8 ათასი ლარი, მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 137 146.8 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 95.5%-ს და საგეგმო მაჩვენებლის 84.4%-ს შეადგენს. მათ შორის:

– საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებისათვის საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 69 092.9 ათასი ლარი, რაც ვალდებულების (75 277.0 ათასი ლარი) 91.8%-ს შეადგენს;

– საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებისათვის საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 68 053.8 ათასი ლარი, რაც ვალდებულების (68 327.8 ათასი ლარი) 99.6%-ია.

„სუბსიდიების“ მუხლით გასაწევი ხარჯების 2015 წლის ექვსი თვის გეგმამ შეადგინა 118 075.9 ათასი ლარი, აღებული ვალდებულებების ოდენობამ შეადგინა 95 987.1 ათასი ლარი, მოთხოვნამ და გადახდამ – 89 579.6 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 93.3%-ს და გეგმის 75.9%-ს შეადგენს.

„გრანტების“ მუხლით გასაწევი ხარჯების 2015 წლის ექვსი თვის გეგმამ შეადგინა 498 846.8 ათასი ლარი, მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 432 904.8

ათასი ლარი, რაც ვალდებულების (434 132.6 ათასი ლარი) 99.7% და საგეგმო მაჩვენებლის 86.8%-ია.

ხარჯების აღნიშნული კატეგორიიდან 2015 წლის იანვარ-მაისში ავტონომიური და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტებს ფინანსური დახმარების სახით გადაერიცხათ 419 162.7 ათასი ლარი, ანუ ვალდებულების (419 758.7 ათასი ლარი) 99.9%.

„სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლით 2015 წლის იანვარ-მაისში მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 1 126 906.2 ათასი ლარი, რაც ვალდებულების (1 292 995.7 ათასი ლარი) 87.2% და საგეგმო პარამეტრის (1 330 367.1 ათასი ლარი) 84.7%-ია.

აღნიშნული მუხლიდან სოციალური დაცვისა და საპენსიო უზრუნველყოფის ხარჯების დასაფინანსებლად 2015 წლის ექვსი თვის გეგმით განისაზღვრა 1 001 603.3 ათასი ლარი, გადახდამ შეადგინა 830 785.3 ათასი ლარი, რაც გეგმის 83%-ია. მათ შორის: საპენსიო უზრუნველყოფის დაფინანსების ხარჯებმა შეადგინა 567 442.8 ათასი ლარი, რაც ვალდებულების (679 982.1 ათასი ლარი) 83.4% და გეგმის (684 921.7 ათასი ლარი) 82.8%-ია; სოციალური დახმარებების ხარჯების დასაფინანსებლად ექვსი თვის გეგმით განისაზღვრა 307 588.8 ათასი ლარი, მოთხოვნამ და საკასო ხარჯმა შეადგინა 256 397.0 ათასი ლარი, რაც გეგმისა და ვალდებულების (307 578.9 ათასი ლარი) 83.4%-ია; ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების ხარჯების დასაფინანსებლად ექვსი თვის გეგმით განისაზღვრა 309 572.3 ათასი ლარი, მოთხოვნამ და საკასო ხარჯმა შეადგინა 279 172.8 ათასი ლარი, რაც გეგმის 90.2% და ვალდებულების (279 609.5 ათასი ლარი) 99.9%-ია.

„სხვა ხარჯების“ მუხლით 2015 წლის ექვსი თვის გეგმა განისაზღვრა 574 220.2 ათასი ლარით, აღებული ვალდებულებების ოდენობამ შეადგინა 472 504.7 ათასი ლარი, მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 401 285.8 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 84.9%-ს და გეგმის 69.9%-ს შეადგენს.

აღნიშნული მუხლიდან ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დასაფინანსებლად ექვსი თვის გეგმით განისაზღვრა 204 525.0 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 169 411.7 ათასი ლარი, რაც გეგმის და ვალდებულების (204 525.0 ათასი ლარი) 100%-ია; მცირემიწიან ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის ღონისძიებების დასაფინანსებლად განისაზღვრა 40 700.0 ათასი ლარი. საანგარიშო პერიოდში რეგისტრირებული იქნა 38 786.3 ათასი ლარის ვალდებულებები, გადახდამ (38 786.3 ათასი ლარი) შეადგინა ვალდებულების 100% და საგეგმო მაჩვენებლის – 95.3%.

„არაფინანსური აქტივებისა და მათზე ოპერაციების კლასიფიკაციით“ 2015 წლის ექვსი თვის გეგმით განისაზღვრა 318 258.5 ათასი ლარის ასიგნებები; საანგარიშო პერიოდში აღებული ვალდებულებების ოდენობამ შეადგინა 198 340.4

ათასი ლარი, მოთხოვნამ და გადახდამ – 192 403.9 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 97.0%-ს და გეგმის 60.5%-ს შეადგენს.

საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებების დასაფინანსებლად განისაზღვრა 175 171.5 ათასი ლარი. საანგარიშო პერიოდში რეგისტრირებული იქნა 109 165.6 ათასი ლარის ვალდებულებები, გადახდამ (108 025.6 ათასი ლარი) შეადგინა ვალდებულების 98.9% და საგეგმო მაჩვენებლის – 61.7%.

„ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების და მათზე ოპერაციების კლასიფიკაციით“ 2015 წლის ექვსი თვის გეგმით ფინანსური აქტივებით ოპერაციების დასაფინანსებლად განსაზღვრულია 173 585.7 ათასი ლარის გამოყოფა. აღნიშნული მუხლიდან აღებულმა ვალდებულებებმა შეადგინა 138 465.0 ათასი ლარი, მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 131 429.3 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 94.9%-ს და გეგმის – 75.7%-ს შეადგენს.

აღნიშნული მუხლიდან სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის სესხისა და ლიზინგის ვალდებულებების დასაფინანსებლად განისაზღვრა 21 000.0 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 21 000.0 ათასი ლარი, რაც ვალდებულების და გეგმის 100%-ს შეადგენს; სამელიორაციო სისტემების მოდერნიზაციისთვის გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 17 000.0 ათასი ლარი, რაც გეგმის (29 000.0) 58.6% და ვალდებულების (24 000.0) 70.8%-ია.

„ვალდებულებების კლების“ მუხლით 2015 წლის ექვსი თვის გეგმით განსაზღვრულია 230 819.5 ათასი ლარის გამოყოფა. აღნიშნული მუხლიდან აღებულმა ვალდებულებებმა შეადგინა 196 028.9 ათასი ლარი, მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 185 171.2 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 94.5% და გეგმის 80.2%-ია. მათ შორის:

- საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების დაფარვისათვის გაწეულმა საკასო ხარჯებმა შეადგინა 171 201.1 ათასი ლარი, რაც ვალდებულების (171 954.4 ათასი ლარი) 99.6%-ია;
- საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების დაფარვისათვის გაწეულმა საკასო ხარჯებმა შეადგინა 13 970.1 ათასი ლარი, რაც ვალდებულების (24 074.5 ათასი ლარი) 58.0%-ია.

ორგანიზაციული კოდების მიხედვით დანართის სახით თანდართულია ასევე ინფორმაცია კრედიტებიდან და გრანტებიდან გაწეული ხარჯების შესახებ, რომელთა ანგარიშგებაში ასახვის საფუძველს წარმოადგენს ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო ვალის და საგარეო დაფინანსების დეპარტამენტის ინფორმაცია გრანტებისა და საერთაშორისო საინვესტიციო კრედიტების ფარგლებში ჩამორიცხული თანხების შესახებ, მ.შ. ინფორმაცია თანხების შესახებ, რომელთა ათვისება პროექტის განმახორციელებლების მიერ ხდება სახაზინო ანგარიშების გაუვლელად.



სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებების ფარგლებში გაწეულმა ხარჯმა, მომავალში მისაღები (ოვერდრაფტის) გრანტებისა და კრედიტების ანგარიშზე შეადგინა 6 943.6 ათასი ლარი. მათ შორის:

- „აღმოსავლეთ–დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის ზესტაფონი–ქუთაისი–სამტრედიის მონაკვეთის მშენებლობა–რეკონსტრუქციის პროექტი (JICA)“ – 5 314.8 ათასი ლარი;
- „მდგრადი ურბანული ტრანსპორტის განვითარების საინვესტიციო პროგრამა“ – 450.6 ათასი ლარი;
- „იძულებით გადაადგილებულ პირთა საცხოვრებელი სახლების გადაუდებელი რეაბილიტაცია დასავლეთ საქართველოში“ – 1 178.2 ათასი ლარი.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2010 წლის 15 თებერვლის №92 ბრძანების თანახმად, საქართველოს ბანკში გახსნილ სახაზინო სამსახურის კორპორაციულ საბარათე ანგარიშზე რიცხულმა ნაშთმა 2015 წლის პირველი ივნისისთვის შეადგინა 98.0 ათასი ლარი. აღნიშნული თანხა ასახულია შესაბამისი უწყებების საკასო ხარჯებში.

## სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები ფუნქციონალურ ჭრილში

2015 წლის იანვარ–მაისში სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯებმა ფუნქციონალურ ჭრილში შეადგინა 3 270 357.0 ათასი ლარი და ძირითადი ფუნქციონალური კატეგორიების მიხედვით, შემდეგი სტრუქტურით ხასიათდება:

საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების ხაზით გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 742 279.0 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის (901 985.5 ათასი ლარი) 82.3%-ია. აღნიშნულ ხარჯებში აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის ხარჯების დაფინანსებამ შეადგინა 147 974.0 ათასი ლარი, რაც გეგმის (204 811.2 ათასი ლარი) 72.2% და საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების ხარჯების 19.9%-ია; სახელმწიფო ვალებთან დაკავშირებული ოპერაციების ხარჯების დაფინანსებამ შეადგინა – 137 073.0 ათასი ლარი, ანუ გეგმის (162 400.0 ათასი ლარი) 84.4% და საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების ხარჯების 18.5%.

თავდაცვის ღონისძიებების ხარჯების დასაფინანსებლად 2015 წლის ექვსი თვის გეგმით გათვალისწინებულია 312 251.7 ათასი ლარის გამოყოფა; გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 245 710.8 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 78.7%, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების მთლიანი მოცულობის (3 270 357.0 ათასი ლარი) 7.5%.

საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების ხაზით 2015 წლის ექვსი თვის გეგმით განსაზღვრულია 483 224.6 ათასი ლარის გამოყოფა, გაწეულმა საკასო

ხარჯმა შეადგინა 368 325.8 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 76.2%, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების მთლიანი მოცულობის 11.3%; პოლიციის სამსახურის და სახელმწიფო დაცვის ხარჯების დაფინანსებამ შეადგინა 254 159.7 ათასი ლარი, ანუ გეგმის (327 945.7 ათასი ლარი) 77.5%; სასამართლოებისა და პროკურატურის დაფინანსების ხარჯებმა (39 296.5 ათასი ლარი) შეადგინა გეგმის (53 882.2 ათასი ლარი) 72.9%; სასჯელაღსრულების დაწესებულებების დაფინანსების ხარჯებმა შეადგინა 46 661.7 ათასი ლარი, რაც გეგმის (55 598.0 ათასი ლარი) 83.9%-ია.

ეკონომიკური საქმიანობის ხაზით 2015 წლის ექვსი თვის გეგმით გათვალისწინებულია 457 242.9 ათასი ლარის გამოყოფა, ხოლო გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 315 307.2 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 69.0%. აღნიშნულ ხარჯებში საერთო ეკონომიკური, კომერციული და შრომით რესურსებთან დაკავშირებული საქმიანობის დაფინანსების ხარჯებმა (9 995.3 ათასი ლარი) შეადგინა გეგმის (17 767.8 ათასი ლარი) 56.3%; სოფლის მეურნეობის, სატყეო მეურნეობის, მეთევზეობისა და მონადირეობის დაფინანსების ხარჯებმა (81 556.6 ათასი ლარი), გეგმის (93 667.4 ათასი ლარი) 87.1% შეადგინა; ტრანსპორტის ხარჯების დასაფინანსებლად გათვალისწინებულია 273 446.0 ათასი ლარის გამოყოფა, გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 183 984.1 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 67.3%.

გარემოს დაცვის ხაზით 2015 წლის ექვსი თვის გეგმით გათვალისწინებულია 23 586.9 ათასი ლარის გამოყოფა, ხოლო გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 13 313.9 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 56.4%.

საბინაო-კომუნალური მეურნეობის ხაზით 2015 წლის ექვსი თვის გეგმით გათვალისწინებულია 30 159.0 ათასი ლარის გამოყოფა, ხოლო გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 10 334.9 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 34.3%. მათ შორის, წყალმომარაგების ხარჯების დასაფინანსებლად გათვალისწინებულია 19 535.0 ათასი ლარის გამოყოფა, გაწეულმა საკასო ხარჯმა კი შეადგინა 5 660.3 ათასი ლარი, რაც გეგმის 29.0%-ია.

ჯანმრთელობის დაცვის ხაზით 2015 წლის ექვსი თვის გეგმით განსაზღვრულია 362 443.0 ათასი ლარის გამოყოფა, ხოლო გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 320 027.7 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 88.3%, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების მთლიანი მოცულობის 9.8%; ამბულატორიული მომსახურების ხარჯების დასაფინანსებლად გათვალისწინებულია 256 132.7 ათასი ლარის გამოყოფა, საკასო ხარჯმა (234 906.7 ათასი ლარი) შეადგინა გეგმიური მაჩვენებლის 91.7%; საავადმყოფოების მომსახურებისათვის გაწეულმა ხარჯებმა (51 188.7 ათასი ლარი) შეადგინა გეგმის (57 159.0 ათასი ლარი) 89.5%; საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურების ხარჯები დაფინანსდა – 6 101.3 ათასი ლარით, რაც გეგმის (8 386.1 ათასი ლარი) 72.7%-ია.

საქმიანობა კულტურის, დასვენებისა და რელიგიის სფეროში დაფინანსდა 87 388.1 ათასი ლარით, რაც 2015 წლის ექვსი თვის გეგმიური მაჩვენებლის (116 912.6 ათასი ლარი) 74.7%-ს შეადგენს. ტელე-რადიო მაუწყებლობის და საგამომცემლო საქმიანობის დასაფინანსებლად განსაზღვრულია 24 742.6 ათასი ლარის გამოყოფა, საკასო ხარჯმა (18 812.0 ათასი ლარი) შეადგინა გეგმის 76.0%.

განათლების სფეროს დასაფინანსებლად ექვსი თვის გეგმით განსაზღვრულია 404 046.4 ათასი ლარის გამოყოფა; გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 278 681.2 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 69% და სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების მთლიანი მოცულობის 8.5%; აღნიშნულ ხარჯებში ზოგადი განათლების დაფინანსებამ შეადგინა – 180 607.6 ათასი ლარი, რომელიც გეგმის (228 966.2 ათასი ლარი) 78.9%-ია; უმაღლესი განათლების დაფინანსებამ შეადგინა – 36 021.2 ათასი ლარი, რაც გეგმის (68 315.6 ათასი ლარი) 52.7%-ია.

სოციალური დაცვის ხაზით ექვსი თვის გეგმით განსაზღვრულია 1 076 421.9 ათასი ლარის გამოყოფა; გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 888 988.5 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 82.6%, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების მთლიანი მოცულობის 27.2%. ხანდაზმულთა სოციალური დაცვის ხარჯების დასაფინანსებლად განსაზღვრულია 685 062.9 ათასი ლარის გამოყოფა, საკასო ხარჯმა შეადგინა 567 574.0 ათასი ლარი, ანუ გეგმის 82.8%; ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვისთვის გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 260 967.2 ათასი ლარი, რაც გეგმის (320 664.2 ათასი ლარი) 81.4%-ია.

## **საქართველოს პრეზიდენტის და საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდები**

საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან საანგარიშო პერიოდში გამოყოფილი ასიგნებების მოცულობამ ოცდაექვს შემთხვევაში შეადგინა სულ 1 166.4 ათასი ლარი.

გამოყოფილი ასიგნებებიდან საანგარიშო პერიოდის განმავლობაში გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა სულ 566.7 ათასი ლარი.

საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში აუთვისებელი თანხების მოცულობამ 2015 წლის 1 ივნისის მდგომარეობით შეადგინა 599.6 ათასი ლარი.

საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან საანგარიშო პერიოდში გამოყოფილი ასიგნებების მოცულობამ ოცდათექვსმეტ შემთხვევაში შეადგინა სულ 38 404.2 ათასი ლარი.

გამოყოფილი ასიგნებებიდან საანგარიშო პერიოდის განმავლობაში გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა სულ 34 417.1 ათასი ლარი.

საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში 2015 წლის 1 ივნისისთვის აუთვისებელი თანხების მოცულობამ შეადგინა სულ 3 987.1 ათასი ლარი.

ორგანიზაციულ კრილში თანხების ხარჯვის შესახებ ინფორმაცია თან ერთვის.

## **რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი**

რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან საანგარიშო პერიოდში გამოყოფილი ასიგნებების მოცულობამ ოცდაერთ შემთხვევაში შეადგინა სულ 69 371.5 ათასი ლარი.

გამოყოფილი ასიგნებებიდან საანგარიშო პერიოდის განმავლობაში გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა სულ 63 141.3 ათასი ლარი.

რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში 2015 წლის 1 ივნისისთვის აუთვისებელი თანხების მოცულობამ შეადგინა სულ 6 230.1 ათასი ლარი.

## **წინა პერიოდში წარმოქმნილი სხვა კრედიტორული დავალიანებების დაფარვა**

„საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, საანგარიშო პერიოდში წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დასაფარად „ვალდებულებების კლების“ მუხლით გამოყოფილი იქნა 9 927.2 ათასი ლარი, საკასო ხარჯმა შეადგინა 8 677.3 ათასი ლარი. აქედან: ცალკეული ღონისძიებების სახით წინა პერიოდში წარმოქმნილი ვალდებულებების დასაფარად განისაზღვრა 6 918.4 ათასი ლარის ასიგნება, საკასო ხარჯმა შეადგინა 5 686.8 ათასი ლარი. მათ შორის: საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ, წინა წლებში შესრულებული საგზაო სამუშაოების აუნაზღაურებელი ნაწილის გადასახდელად მიიმართა 4 787.4 ათასი ლარი (გეგმა – 6 000.0 ათასი ლარი); სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ საგარეო-სხვა კრედიტორული დავალიანების დაფარვის გეგმამ შეადგინა 918.4 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა – 899.4 ათასი ლარი.

„საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვის და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდის დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 14

000.0 ათასი ლარი, სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებისათვის გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 1 351.3 ათასი ლარი; აქედან: საქართველოს იუსტიციის სამინისტროს წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანების დასაფარად გამოეყო 173.6 ათასი ლარი (საკასო ხარჯი – 173.6 ათასი ლარი), ხოლო სხვა ხარჯების მუხლით გამოეყო 11 805.0 ათასი ლარი (საკასო ხარჯი – 11 805.0 ათასი ლარი).

„საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ცალკეული ღონისძიებებისათვის და წინა პერიოდში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვის ფონდიდან გამოყოფილი ასიგნებების გარდა, გაწეული ხარჯი (გეგმა – 813.8 ათასი ლარი, საკასო ხარჯი – 1 465.7 ათასი ლარი) ითვლება საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საბიუჯეტო ასიგნებებში წარმოქმნილი ეკონომიის ხარჯზე წინა პერიოდის დავალიანების დაფარვად.

ამასთან, ბიუჯეტის შესახებ კანონით განსაზღვრული ღონისძიებებისა და გამოყოფილი ასიგნებების მიხედვით საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საანგარიშო პერიოდში, წინა წლების დავალიანებების დასაფარავად გაწეულ ხარჯებზე ინფორმაცია ორგანიზაციულ ჭრილში ერთვის დანართის სახით.

„წინა წლებში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვისა და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდის“ ფარგლებში, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ, შესაბამისი სააღსრულებლო ბიუროების საინკასო დავალებებით სახაზინო სამსახურის ანგარიშებიდან წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდიდან, დაკისრებული თანხების სახით ავტომატურ რეჟიმში იძულების წესით ჩამოჭრილი იქნა – 1 351.3 ათასი ლარი, რაც გატარდა საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელების ორგანიზაციულ კოდზე.

2015 წლის იანვარ-მაისში სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელების, ნაშთის ცვლილებისა და მთლიანი სალდოს შესახებ წარმოდგენილი ანგარიში შედგენილია სახაზინო სამსახურში არსებული ოპერატიული მონაცემების საფუძველზე.